



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



N 39  
28/07/2017

39-04-4-201707281904



**ქედის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ  
2017 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დადებითად იქნას შეფასებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2017 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
მიერ 2017 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის  
ა ნ გ ა რ ი შ ი

სამსახურის მიერ გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლისა და ანაზღაურების მიზნით. სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა ათი მიზნობრივი პროგრამა. განხორციელდა 8 მიზნობრივი პროგრამა კერძოდ:

1. „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“, ტენდერში გაიმარჯვა შპს „არსი-2“მა 16707 ლარით და სარგებლობს 26 მოქალაქე. ექვს თვეში ჩარიცხულია 6664 ლარი. სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით.

2. „ამბულატორიული მომსახურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 102600 ლარს. ექვს თვეში ამბულატორიების ტრანსპორტითა და მომსახურებით უზრუნველსაყოფად ჩარიცხულია 43178 ლარი, სადაც გათვალისწინებულია მძღოლების ხელფასი, საწვავი, ავტომანქანების მიმდინარე რემონტ, ავტომანქანების დაზღვევა, მართვის ხარჯი, ელექტროენერჯის გადასახადი, ექიმის ჩანთის შევსება.

3. „უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 17500 ლარს. პროგრამით ისარგებლა 14 ოჯახმა (სარეიტინგო ქულა 70000-ზე ნაკლები) და თითო ოჯახს გაეწია 250 ლარიანი დახმარება. დახარჯულია 3500 ლარი.

4. „ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ღირებულების ანაზღაურების პროგრამა“, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 19000 ლარს. პროგრამით სარგებლობდა 8 მოქალაქე. ექვს თვეში ჩარიცხულია 6583 ლარი.

5. „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადების (ეპილეფსია) მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა“- ტენდერში გაიმარჯვა შპს „დაისმა“ 20150 ლარით და მედიკამენტებს აწვდის ეპილეფსიით დაავადებულ ყველა დაავადებულს ასაკის შეუზღუდავად. აღნიშნულ პროგრამაზე ექვს თვეში ჩარიცხულია 7117 ლარი. პროგრამით სარგებლობს 78 ბენეფიციარი.

6. „ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 9500 ლარს. ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამით სარგებლობს 18 ბენეფიციარი. ექვს თვეში ჩარიცხულია 3224.

7. „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ მიზნობრივი პროგრამა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 140100 ლარს. ექვს თვეში 39 თემის სამედიცინო პუნქტის მედღებზე ხელფასის სახით ჩარიცხულია 51375 ლარი და მედიკამენტებისთვის 10236 ლარი.

8. „საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის“ მიზნობრივი პროგრამა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 30000 ლარს. პროგრამით ისარგებლა 39 ოჯახმა, რისთვისაც ჩარიცხულია 27417 ლარი.

გარდა პროგრამებისა გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მოწვეული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიური

სამსახურის სპეციალისტები. ადგილზე მისვლით შესწავლილი იქნა მოსახლეობის მიერ მეწყერებთან დაკავშირებული განცხადებები. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა შესაბამისი გეოლოგიური დასკვნები. ეტაპობრივად მიმდინარეობს დაზარალებული ოჯახების შესწავლა და მასალების სამთავრობო კომისიაზე გაგზავნა მათი შესაბამის პროგრამებში ჩართვის მიზნით მ/წლის ექვს თვეში საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნა 21 ოჯახი. მიმდინარეობს მუშაობა მეწყერული მოვლენების შედეგად დაზარალებულ იმ ოჯახებთან, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც ექვემდებარება გადატანას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 39 თემის სამედიცინო პუნქტი და 9 ამბულატორია, რომლებიც პირველად დახმარებასა და მკურნალობას უწევენ მოსახლეობას. სამსახური პერიოდულად ადგილზე მისვლით ანხორციელებს მონიტორინგს მათი მუშაობის შესახებ.

ასევე ვთანამშრომლობთ აჭარის სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქედის განყოფილებასთან სხვადასხვა ეპიდემიური დაავადებების პრევენციის მიზნით.